


საეცენო ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლები

ნინო

ქართული ძველი მწერლობა.

ნიკოლოზ I (1149—1160 წ.) ქართლის კათალიკოზ-პატრიარქის მიერ შედგენილი „საკითხავი სულტის ცხოველისა კუართისა საუფლდისა და კათალიკე ეკლესიისა“



წმ. ნინოს და სულტის ცხოველის

სკოფიბია

ჩ 13.921
3

გამოცემული დ. ს. ს. ზღაპრ. იოსელიანის ქრონიკის ანნა ნიკოლოზის მიერ და შდ. ვასილ კარბელაშვილის რედაქტორებით.

თბილისი

მსწრაფლ-მბეჭდავი „მშობისა“, მოსკოვის ქუჩა, № 5.
1908

საქმ-2000
მედიკალური

ბისა ამის განხრწნადისა და წარმავალისა და უძღურებათა-
განაცა კორციელთა კსნა ურთიერთარსითა დაცვითა და
ვედრებითა ღმრთისა მიმართითა: სიტყვსა მისებრ იაკობ მო-
ციქულისა ვითარმედ: ულოცვედითო ურთიერთარს. რათა
განიკურნეს: და კუალად შემდგომად სიკუდილისა მასვე
შინა მიიღებენ სულნი მიცვალებულთანი ლხინებასა და შენ-
დობასა ცოდვათასა: და კსნასა სატანჯველთაგან, ქრისტეს
ღმრთისა ჩუენისა კორცისა და სისხლისა შეწირვითა: და ლოც-
ვთა და ვედრებითა მიმდემითა*) და მათ შინავე იდიდების
სახიერებაჲ ღმრთისაჲ მორწმუნეთა ერთა მიერ ფსალმუნითა
და გალობითა სამარადისოჲთა უხილავად შეერთებითა ზეცისა
ძალთაჲთა:.

ხოლო უფროჲსლა საჭიროჲ უკუე ვჭგონე მათვს რო-
მელნიცა ეკლესიაჲთა მიზეზ გუექმნეს: და უფროჲსლა სულთა
ჩუენთა ცხოვნებისა მომატყუებულ: წარმოთქმა და მოკსენებაჲ
მათი: რამეთუ ესე ყოველთა უწყით უეჭველად რომელნიცა
ვჭგიეთ ქეშმარიტებასა ზედა ქრისტესსა: ვითარმედ წმიდანნი
მოციქულნი აჩინნა ღმერთმან ყოვლისა სოფლისა მნათობად
და სიმტკიცედ ეკლესიაჲთა: და რამეთუ ამით საცნაურ არს
რაჲმს იგი თვთ თავადმან უფალმან უბრძანა თავსა მას მო-
ციქულთასა პეტრეს ვითარმედ: შენ ხარ კლდე. და ამას კლდე-
სა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი. რომელსა ბჭენი ჯოჯოხე-
თისანი ვერ ერეოდინანო: ამას უკუე ვინმცა გონებისა უფალი
უმეცარ იყო: რომელ ყოველნივე ეკლესიანი: წმინდათა მო-
ციქულთა ქადაგებითა და სიტყვთა აღმართნეს და დაემტკიც-
ნეს ყოველსა სოფელსა შინა: ხოლო ამიერთაგან უკუე სა-
ჭირო არს ჩუენდა მოკსენებად ათორმეტთაგანისაჲ უკუე სა-
მის მეთაქმეტისა ქეშმარიტისა მოციქულისაჲ: დედისა მის
ჩუენ ქართველთაჲსა ნინოჲსსა: რათა მკირედ რაჲმე შემოკ-
ლებულად და სულ მკირედ ზოგსრე წარმოვაჩინოთ თუ ვითარ

*) ყოველ დღე, ყოველ დღიჭრი

მიზეზ იქმნა ქართლებრთა ამით აღმოსავლეთისა ეკლესიაჲთა
სიმტკიცე და საცნაურ მყოფელ ნეტარებით მოკსენებული
იგი დედაკაცი და სულთა ჩუენთა გამოკსნელ: სამაელისა
მონებისა და ტყულობისგან: ხოლო პირველად ესე საძიებელ
არს თუ რაჲსა თვს უკუე დედაკაცი აჩინა და წარმოავლი-
ნა ღმერთმან ჩუენდა მომართ: რომელი ესე გონიერად ისმი-
ნეთ უკეთუ ღმერთმან ინებოს გულის კხმის ყოფად ჩუენდა
უგონიერთა განმბრძნობელმან: რამეთუ თქმულ არს ესე ვი-
თარცა უწყით ქეშმარიტი და უცილობელი: ვითარმედ შემ-
დგომად ვნებისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჲ ქრის-
ტესსა: და აღდგომისა და ზეცად ამალღებისაჲ მისისა: ბრძანე-
ბითა უფლისაჲთა: კიდეთა ქუეყანისათა წარივლინნეს მოციქულ-
ნი ისრად რჩეულად და ეღვად ნათლისად თითოეულსა აღ-
გილსა ვითარცა სული მისცემდა: მას ჟამსა უკუე ყოვლად
სანატრელი იგი და უფროსად კურთხეული დედაჲ ღუთისაჲ-
ცა სურვიელ იყო და მეცადინებდა წრსლვად ქადაგებად ძი-
სა ღუთაებისა: და გულის თქმით წადიერ იყო აღმოსავლით
კერძოთა მათ წარმოსლვად შესაბამობისა თვს სახელისა მი-
სისა ვითარცა თვთ ეწოდების აღმოსავალ მზისა სიმართლისა.
ხოლო განმზადებული ამით გულის სიტყვთა ილოცვიდა
რაჲ ზედ წარმოდგომითა ძემან და ჭმერთმან მისმან და აყენა
ამის საწადელისაგან.

მას ჟამსა შინა, ხოლო ვინაჲდგან იგი დედაკაცი იყო ყო-
ლად სანატრელი და კურთხეული უზეშთავსი იგი დედათა
და მამათაჲ და ზეცისა ძალთაჲცა, ამისთვისცა უკუე უკა-
ნასკნელთა ჟამთა რაჲმს ჭმერთმან ინება წყალობა ლ ცხოვ-
რებაჲ ნათესავისა ჩუენისაჲ დედაკაცივე წარმოავლინა ვი-
თარ ვჭგონებ მე გამოთხოითა და ხუაიშნითა დედისა ჭუ-
თისათა ძისა თვისისათანა, ვინაჲდგან ნაწილიცა იყო დე-
დისაჲ ჭუთისა ამისთვის უფროჲსლა საგონებელ და საეჭუელ
არს ერთი ქეშმარიტი და უეჭუელი მიზეზი. ხოლო მეორე
ლ ქეშმარიტისიცა ესე არს ვინაჲთგან ყოველთა ნათესავთაჲსასა

უმძვინვარესნი და უველურესნი იყუნეს ესე ნათესავნი, ამის-
 თვისცა დედაკაცი წარმოავლინა რათა უმეტეს საცნაურ იქმნეს
 თვისცა დედაკაცი წარმოავლინა რათა უმეტეს საცნაურ იქმ-
 ნეს ძალი ლუთაებისა მისისაჲ და არა ვისი ენაჲ კადნიერ იქმ-
 ნეს ამაოჲსა მთხველობისათჳს ცუდისა მეტყუალებად, ვითარ-
 მედ სიმკნეჲს და სიბრძნით ფილოსოფოსობამან, გინა ენა
 რიტორობამან მის ვისმე მამაკაცისამან დააცხრო ბოროტ ბო-
 რგნეულებჲჲ. მათიო, ამისთვისცა უკუპ ლბილითა მით და
 ნარნარათ მდინარითა წყლისა ნეტარითა და შრიტა სიმძაფრე
 ზაკმილისა მკურნალმან მან კელოანმან წინააღმდეგობითა
 წინააღმდეგობათაჲთა: რათა სიტყუაჲ იგი უფლისა მოციქულისა
 მიმართ თქმული აქაჲცა ჭეშმარიტებდეს ვითარმედ, ძალი ჩე-
 მი უძღურებასა შინა სრულ იქმნებისო და ესე უკუე ამით
 უჭეშმარიტეს არს ვითარცა მეცნიერ ვართ, რომელ ძალსა
 ლუთაებისა მისისასა უძღურთა ზედა საცნაურ ჰყოფდა მარა-
 დის: ამისთვისცა უსწავლელნი მეთევზურნი და მდაბიორნი
 გამოირჩინნა და მათ მიერ მსგავსად ელვისა ცეცხლ შემწუპ-
 ლობათთა ისართა ესროდა პირებსა ბრძენთა და ფილოსო-
 ფოსთაჲსა: და მწყველელ ექმნებოდა გულებსა რიტორთაჲსა, რა-
 მეთუ არა ვიდრემე სხვლ ბარკალთა მამაკაცთასა სათნო იჩენს
 ლმერთი სახიერი, არამედ მოშიშთა სახელისა მისისათა, ვითარ-
 ცა იტყვის მივხედნეო გარნა მშვდსა და მდაბალსა და რომელი
 ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა. და კუალად მსხუტრპლ ლუ-
 თისა არს გული შემუსრვილი და დამდაბლებული ლმერთმან
 არა შეურაცხ-ჰყოს*. და კუალად ძუტლ ოდესმე გედგონის
 ზე იგი ისრაელთაჲცა ღირს არს კსენებისა, რაჲმს ბრძანები-
 თა ზეგარდამოჲთა მრავალ რიცხვსა წილ მბრძოლისა: სამასისაჲ,
 ხოლო ამცნო წარყუანებაჲ და მას მხოლოდ მცირედსა უძ-
 ლურსა ერსა ზედა გამოაჩინა და საცნაურ-ყო ძალი ლუთა-
 ებისაჲ მისისა: ამისთვისცა უძღურისაჲ ბუნებისა დედაკაცისა მი-
 ერმოალბო ქედ-ფიცხელობაჲ უღმობელთაჲ მათ და უგლიმთა*)

*) უგლიმი — გულ-ქვაჲ

რედ.

ნათესავთაჲ და არა ვიდრემე, ხოლო აქამოდის ოდენ დად-
 გების სიტყუაჲ ჩუნი მეძიებლობით გამომაცხადებელი ჭეშმა-
 რიტებისაჲ, რამეთუ ვინაჲთგან უკუპ დედაკაცისათჳს არს კსე-
 ნებაჲ.

ოკუეშმარიტეს უკუპ ვჭვონე სხუაჲცა საძიებელი ღირსე-
 ბისათჳს დედათა პატივისა: რამეთუ განმაცხოველებელსა მას
 აღდგომასა ლუთისა და მაცხოვრისა ჩუნიისა იესო ძრისტეს-
 სა დედანივე ღირს იქმნეს ზეშთა ნეტარებისა დიდსა პატივ-
 სა ხარებისასა: ამისათჳს უკუპ დაიყავნ პირი ბოროტად და
 ამოდ დამაკნინებელი: ქადაგებისა და მოქცევისა ჩუნიისათჳს,
 ბუნებისა მიერ დედობრივისა, არამედ უფროჲსად და უმეტე-
 სად ვმოხარულობდეთცა და ვმოქადულობდეთ მაყუპდრებელ-
 თა მათ ჩუნითა მიმართ უგუნურების მომზრახთა: ხოლო ვი-
 ნაჲთგან იძულებით თანა წარმოვლინა ჩუნი ჟამის შესაბა-
 მობით მცირედ მოხსენებითა გამოჩინებად სიტყუასა ნეტარისა
 დედაკაცისასა: ამიერითგან უკუპ ჟამი არს საქმითცა გამოხა-
 ტუად გასახულსა მას და ზოგსარე ჭეშმარიტებით ჩუენით
 საცნაურქმნაჲ, მსგავსებისაებრ უძღურებისა ჩუნიისა ზოი სა-
 ყუარელნო!

რამეთუ უკეთუ ვინ გამოწულილვით მეძიებლობდეს დასა-
 ბამსა და ვინაობასა და სადაობასა ნეტარისა მის ნინოჲსსა, წიგნი
 იგი კელოდ მიიღენ აღწერილი მოწურილებით მოთხრობისათჳს
 ქართუპლთა ცხოვრებისათჳს, და მისგან გეუწყოს ყოველივე
 აღმავსებელად ჩუნიისა ნაკლულევანებისა. ხოლო ჩუნი შესა-
 ბამად წმიდისა ამის დღესასწაულისა: მხოლოდ აღმავსებელად
 კმა საყოფელი რეცა სულმცირედ შემოკლებული თხრობითი
 მოხსენებაჲ ნინოჲსიცა აღვსწეროჲთ:

და შემდგომითი შემდგომად შეუდგინოთ ყოველივე ჯე-
 რიანი გამოსაჩენელი და საცნაურ მყოფელი სუტისა ცხო-
 ველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებჲჲ უგუნურო-
 ბისა ჩუნიისაგან შესაძლებელი. რამეთუ ვითარცა მოიწია პი-
 რუპლად განგებულებითა ლუთისათა კედართა ჯავახეთისათა

წმიდა ნინო: პირსა დიდისა მის ტბისათა, რომელ არს შა-
 რავანისაჲ, წარმოემართა უკუტ მუნითცა გამოკხადებითა
 ლუთისათა: და შეუდგა მუნით გამოვალსა მდინარისა დიდი-
 სა თავსა, რომელ არს ტიგროს (მტკუარი). და ვგრეთ მოიწია
 დედასა მას ქალაქთასა, რომელ არს მცხეთაჲ. და აჰა ესე რა
 ხუალისა დღე: კმა იყო ოხრისაჲ და საყვრისაჲ ფრიად: რომელ-
 სა გამოჰყუა ერთი ურიცხვ მსგავსებისაებრ ცისა ვარსკულავთასა,
 ხოლო ვითარცა გამოვიდა მეფე შირიან საოცრებითა მიუთხრო-
 ბელითა: ჰკითხა უკუტ წმიდამან ნინო დედაკცსა ვისმე ჰუ-
 რიაჲსა ვითარმედ უკუტ „რაჲ არს სახილავი ესე განსაკრთომე-
 ლი: ხოლო მან ჰრქუა მას, ვითარმედ ღმერთი ღმერთთაჲ
 არმაზ, ერსა ამას, რომელ ჰხედავ წინაშე მისსა მოუწეს: მყის
 უკუტ შეუდგა წმიდაჲ ნინო და წარვიდა ხილვად: ხოლო წმი-
 დამან ნინო შეისწრაფა პირუტლად საკერპოსა მას შინა: და
 მდგომარე იყო მახლობელად კერპისა მის: და ხედვიდა საკერ-
 ველსა მას ეშმაკთაგან წარტყუნელობასა კაცთასა: და ამის-
 თვის მწარედ სულთქმით ტიროდა: და ვითარცა მიხეჰდნა იხილა
 რაჲ დგა კაცი ერთი სპილენძისაჲ და ტანსა ეცუა ჯაჰჰ
 ოქროსაჲსა და ჩაბალახი მყარი თავსა მისსა: თუალნი ეყარნეს
 ერთი ზურქუბტისაჲ და მეორე ბივრითი და კელთა ეყრა კრმა-
 ლი ბრწყინულე ვითარცა ელვაჲ და იქცევდა კელთა შინა
 თვსთა: და ძრწოლით თაყუანის-ჰსცემდეს ყოველნივე იგი ერ-
 ნი: და შიშისაგან შეხებად ვერ იკადრებდიან: და კუალად
 სხუაჲ კაცი დგა მარჯვენით მისსა სრულიად ოქროსაჲსა და სა-
 ხელი მისი გაცი: და მარცხენით მისსა უდგა სხვაჲ ვეცხლისაჲ
 და სახელი მისი გაამ: რომელნი უკუტ იგიცა ღმერთად უჩნდეს ერ-
 სა მას დაბნელებულსა ძართლისასა: მაშინ უკუტ უმეტესადლა
 ელმოდა შეიწუბოდეს შინაგანნი ნეტარისა ნინოასნი და ტი-
 როდა ფრიად ტყუტ ქმნილობისათვის ერისა მის უგულის
 ხმოსა: მაშინ უკუტ აღიხილნა თუალნი თვისნი ზეცად და
 თქუაჲ.

„შეალო ღმერთო მრავლითა ძალითა შენითა გვეტრუფ-

ნეს შენ მტერნი შენნი: იხილე შეალო და ნუ დასდუმნები: და
 ქმნულსა ხელთა შენთასა ნუ უგულვებელს ჰყოფ: მოიხილე,
 შეალო მალლით შენით წმიდით: იკსენ მკლავითა შენითა
 ერთი შენი: შეისმინე შეალო ლოცვსა ჩემისაჲ და ვედრებისა
 ჩემისაჲ ყურად ილე: და შთაჲადე კერპნი ესე რისხვთა შენითა
 ქუტსკნელთა ქუტშე ქუტყანისათა: რამეთუ არა არს მათ შო-
 რის ქეშმარიტებაჲ, რამეთუ განხრწნეს ერთი შენი ავაზაკთა ბო-
 როტთა უხილავთა გამოსტაცენ ესენი კელთაგან მგელთა განმ-
 რყუნელთაჲსა, რამეთუ შენი არს სუფევაჲ და დიდებაჲ უკუნე-
 თი უკუნისამდე ამენ:.

და ვითარცა აღასრულაჲ ლოცუაჲ ესე წმიდამან ნინო
 მყის დასავალით უკუტ ჰაერნი და ქარნი სასტიკნი შეიძრნეს:
 და ელვანი და ქუხილნი საცნაურ-ჰყოფდეს რისხუასა ლუთი-
 სასა: და მოიღო ქარმან დასავლისამან სული ბოროტი ჯერ-
 კუალისა რასაჲმე მყარლისაჲ: მაშინ უკუტ შიშისა და ზარისა
 მისგან საშინელებისა, ლტოლვილ იქმნა ყოველი კაცი ქალა-
 ქად და მყუყუელად მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი მწარე
 და სასტიკი.

და მოიღო სეტყუაჲ განსაკრუტბელად დიდ დიდები ლიტ-
 რისა სწორი: და კერპნი იგი დააწულილნა: და დამუსრნა და
 უჩინო ყვნა: და ვითარცა დაარღვინა და შთაბნინა კლდეთა
 მათ ზღუდენი იგი ქარმან მან სასტიკმან: წმიდაჲ ნინო დაშთა
 მშვედობით ადგილსა მასვე სადა პირველ შევიდა. ხოლო დღე-
 სა მეორესა, გამოვიდა შირიან მეფე ყოვლისა ერისა თანა და
 ეძიებდეს ღმერთთა მათ მათთა ვინაჲთგან უკუტ ვერ პოვნეს:
 შიში და ძრწოლა დიდი დაეცა მათ ყოველთა ზედა: და გან-
 კვრდეს და ვერა რაჲ იცოდეს რაჲმცა თქუტს გინაჲ ქმნეს, ხო-
 ლო მასვე დღესა რომელსა დასცხრა სეტყუაჲ იგი და ქარი
 სასტიკი, გამოვიდა წმიდა ნინო კლდისა მისგან ნახრალისა და
 პოვა თუალი იგი ბივრითი აღიღო და წარმოვიდა წინ კერ-
 ძოდ დასასრულსა კლდისა მის ცხვრისასა, სადა ყოფილ იყო ძუტლ
 ცხე და მუნ დგა ხე ერთი ბრინჯისაჲ შუტნიერი და ფრიად

მალალი და რტოჲ მრავალი სადა ყოფილ იყო ბარტამ მეფისა საგრილი და განსასუწნებელი: მოვიდა უკუჲ ქუტუშე ხესა მას და გამოსახა სახე ჯუარისა და ილოცვდა მუნ ექუს დღე და მადლობდა ლმერთსა ვევედრებოდა რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა, იქნეს ეშმაკისა საცთურ-თავან: ამისა შემდგომად წარმოვიდა მუნით და მოვიდა ქა-ლაქად კარსა სამოთხისასა რომელი იყო მეფისაჲ.

და შევიდა სახლსა სამოთხის მცუტლისასა: ხოლო იხილა რაჲ დედაკაცმან ვინმე სახელით ანასტო: მეყუესულად აღდგა და მოეხვა და შეიტკბო სიყუარულით ვითარცა მეც-ნიერი: და დაჰბანა ფერკნი და სცხო ზეთი და მიაართუა საზ-რდელი: და იყო მისთანა ცხრა თუჲ: ესე უკუე ანასტო და ქმარი მისი იყუნეს უშკლო და ზრუნვდეს ფრიად: იხილა უკუჲ წმიდამან ნინო ჩუწნებასა შინა: რამეთუ მოვიდა კა-ცი ნათლის ფერი და ჰრქუა: შევედ უკუე სამოთხესა მაგას ნაძეთა ქუტუშე, რომელ არს ბაბილოჲ, მცირე მიწა უკუჲ აღი-ღე მის ადგილისაგან შეაქმე კაცთა მაგათ და უეჭველად მი-ეცეს შკლი, ხოლო წმიდამან ნინო ბრძანებისაებრ ჩუწნე-ბისა მის ესრეთ ყო: და ჰრქუა მათ: -სახელითა და ძალითა ძრისტეს ლუთისა დაუსაბამოჲსათა, რომელი თანა მოსაყრდრე არს მამისა და სულისა წმიდისაჲ და კნისათჲს ჩუწნისა გან-კაცდა: ჯუარს ეცუა და დაეფლ-და აღდა მესამესა დღესა: ამდღდა დიდებით და დაჯდა მარჯუწნით მამისა: და კუალად მოსვლად არს განსჯად ცხოველთა და მკუდართა: მან უკუჲ თავადმან მოგანიჭოს გულის-კმის-ყოფაჲ კეთილი: და ვითარ-ცა ესე თქუა აუწყა გზა ქეშმარიტებისა და მეცნიერებისა:.

მაშინ უკუე კეთილთა მათ მეუღლეთა აღიარეს ძრისტე ლუ-თად ქეშმარიტად ლ დაემოწაფნეს ფარულად: ხოლო წმიდამან ლ ნეტარმან ნინო ქალაქისა ზღუდეთა გარეგნით ჰოენა მცირედ-ნი რაჲმე მაყუალნი და მათ შინა შეიმზადა საყოფელი ვრცელ-თა პალატთა წილ, ნამდვლვე მოწაფემან მან ქეშმარიტმან მისმან, რომელმან იგი თქუა: მეღთა კურელები უჩნს: ლ მფრი-

ნველთა ცისათა საყოფელი: ხოლო ძესა კაცისასაჲ არა აქოჲ სადა თავი მიიდრიკოს: და რაჲ უკუე საკვრველ არს უკე თუ არცა ამას ნეტარსა უცხოჲსა ამას დედაკაცსა აქუნდა: ხო-ლო მას მცირესა უნდოსა საყოფელსა შინა: შეიმზადა ჯუარ-ნახლევისაჲ და აღმართა იგი წინაშე მისსა და მარადის ილო-ცავნ ნეტარი იგი დღე და ღამე დაუცხრომელად: და განკვრ-ვებულ იყუნეს მეუღლენი იგი სამარადისოსა მას ლოცუასა და მარხუასა მისსა ზედა: და ღუაწლთა და შრომათ დაუცადე ბელთა: რამეთუ მხოლოდ იგინი ოდენ იყუნეს მისსა მიმავლ და მსახურ ფარულად: მრავალ გზის უკუ მოვიდის ჰურიათა შო-რის წმიდაჲ ნინო ძიებისაჲთჲს საუფლოჲსა მის კუართისა: რამე-თუ იტრუსალიმითვე მეცნიერ იყო მცხეთას წარმოღებისათჲს:

და გულს მოდგინედ გამოიკულებდა და იწულილვიდ რათამცა რაჲ საცნაურ ექმნას სადაობაჲ კუართისაჲ, ხოლო ჰოვა ჰურია ერთი სახელით აბიათარ: და უქადაგა მას და ასულ-სა მისსა ხიდონიას: და ჰრწმენა მათ ორთავე უფალი იესო-ძრისტე ძედ ლუთისად ცხოველისა და ლმერთად ქეშმარიტად და დაემოწაფნეს იგინიცა თნიერ ნათლისღებისა: რამეთ-მაშინ უკუე ჯერეთ მღუღლისაგან ულონო იყვნეს:

ხოლო შემდგომად ამისა სხუანიცა ექუსნი დედანი და ემოწაფნეს ჰურიანი და იყუნეს ყოველნივე ფარულად მოწად-მისა: ხოლო წმიდაჲ ნინო ჰყოფდა კურნებათა და ძალთა დი-დილთა სახელითა იესო ძრისტესითა: გარნა ჯერეთცა არ-ვიდრემე ცხად-ჰყოფდა ვინაჲთგან. შერ შემძლებელ იყუნ-საზრდელისა მტკიცისა მიღებასა, ვერცა თუ სძისა შემწყნ-რებელნი: არამედ რეცა მიზეზითა წამალთაჲთა ჰკურნებდა და ესრეთ იქცეოდა ქალაქსა მას შინა სამ წელ.

მოთხრობაჲ აბიათარ მდღელისაგან კუართისა თჲს ს-

უფლისა თუ ვითარ მოგუენიჭაჲ:

იტყოდა უკუე აბიათარ მდღელი ვითარმედ, რომელ წერილთაგან უწყი: და მამის დედისა ჩემისაგან სმენილ არ

თამან: და ჭიმიტა და აღვრიტა უქცინის ღაწვნი მათნი: რო-
 მელნი მას არა მოეახლნიან და განსაცდელნი მოუვლინის:
 და ჭირისაგან იძულებულნი შეეხუტნენ და ორკერ-
 ძოვე სულით და კორციით განკურნებულნი ჰმადლობდნ და
 აღიდებდნ ღმერთსა და ჯუარსა პატიოსანსა თაყუანისცემ-
 დეს: ესრეთ უკუც იყო სიხარული დიდი და გამოუთქმელი-
 ყოველსა შორის ნათესავსაჲ ქართველთაჲსა: რამეთუ უძლე-
 რნი და ჭირვეულნი კურნებასა მიემთხუროდეს ხოლო
 ცოდვილნი ცოდვათაგან განთავისუფლდებოდეს: ხოლო
 უჭირველნი სიხარულით ჰმადლობდეს ღმერთსა: ლე წარმართთა-
 განთა და უღმრთოთა: რომელნიცა სადა იყუნეს და ესმოდა:
 ყოველნი ერთბამად განკურნებულ იყუნეს: და მრავალნი და-
 ურიცხვენი მეცნიერებად ჭეშმარიტისა ღუთისა მოვიდოდეს:
 და ყოველნი ყოველით კერძო აღიდებდეს ღმერთსა რომლისა
 არს დიდებაჲ უკუნიითი უკუნისამდე ამენ.

ესე უკუც ვიდრემე აქა აღლაგმულ ვაყო სიტყუაჲ მეტყუ-
 ლებისა ჩემისაჲ და სიგრძოსა მეტყულებისასა აღვრ ვასხნე:
 რამეთუ სიხარული დღესასწაულისაჲ და ჟამი შეკრებისა-
 ჩუქნისაჲ სხვსაცა რაჲსამე უახლოესისა ლე სიხარულევანისა კელ
 ყოფად იძულებულ გვეოფს ჩუქნ: რამეთუ ვინაჲთგან უკუც
 დღესასწაულისათჳს არს სიტყუაჲ: სათანადო ვიდრემე ვჭგონე
 ღუთის მოყვარენო კუალადცა საცნაურ ყოფად ზოგსრე
 სასწაულთა თჳს სუტისა ცხოველისათა: რამეთუ პურველ
 მოკსენებულნი იგი გამოჩენასა სუტისა ცხოველისასა, ითქუ-
 ნეს ზოგსრე რეცა სრულიად დაუფიწყებლობისა მიზეზად
 დაღაცათუ ვითარცა რაჲ პერულნი მონაკრებნი პირსა ზედა
 მდინარისასა სიმცირისა თჳსცა და უმეცრებისაცა: ჟამისა მის:
 რომელსა შინა ქმნილ არიან: ხოლო რომელნიცა რაჲ შემ-
 დგომითი შემდგომად აღსრულებულ არიან: არა ვიდრემე
 უჯერო ვჭგონე მათიცა მოკსენებაჲ და სიტყვისა ჭეშმა-
 რისტებისასა სათანადოდ საცნაურ ყოფაჲ: დაღაცათე ყოველ-
 თაჲე ღუთისა საკურნულებათა მეძიებელსა იგივე უკუც და

ერთი ზეცათა გამოკულებისა კადნიერებაჲ დაესაჯების: და
 კუალად, რომელი ზღუსა უფსკრულთა ჰვეშვთა წყვასა მეცა-
 ლინობდეს მასცა ვიდრემე სახე ექნების; გარნა ვიტყოდივე:
 პირუტლად უკუც ესე საცნაურ ჰვეყო თქუქნდამი ჭოი
 ღუთის მოყვარენო: რომელიცა ესე ნამდვლვე ღირს არს
 თხრობისა: რამეთუ ვითარცა რაჲ ნათესავთა შორის კაცთასა:
 მრავალნი რა კელოვნებანი იპოებიან და კაცად კაცადთა
 თჳს თჳსად მიუჩნს ყოველთაჲე თჳსი საკმრობაჲ, რამეთუ
 რომელსამე იგი და რომელსამე ესე: ესრე სახედვე უკუც
 იხილვების და ნათესავთაცა შორის: რამეთუ რომელნიმე
 ნათესავნი: ესე ვითარნი არიან ბუნებით: ხოლო რომელნიმე
 ვეგე ვითარნი სიტყუსაებრ სამოციქულოსა ნამდვლვე განყო-
 ფანი არიან მადლთანი ყოველთაჲე შორის:

რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ღბილ ლე დედალ არიან; ლე
 ფრიად მოსწრაფე ენაჲ მჭვერობისა და ფილასოფოსობისა თჳს
 და საკურნული რაჲმე გულსმოდგინებაჲ და ტრფიალებაჲ
 მოუგიეს გამოძიებათა რომელთა თჳსმე ღუთისათაცა და კაცო-
 ბრივთა; და ყოველთაჲე დაბადებულთა თჳსცა და ამით უკუც
 სახითა; რეცა მძლეობენ ყოველთა ზედა სილაღითა გონები-
 სათა ვითარცა ზეშთა ქმნულნი: და ენა მჭვერობათა და
 სიბრძნეთა თჳსთა მიმართ მინდობილობენ: რათა სიბრძნით
 მოკელოვნებითა ენისაჲთა; ნუგეშინის ცემდენ სზნდისითა ცხო-
 ვრების თჳსისათა: ვითარ სახედ არიან ელლინნი ესე ბრძენ-
 ნი: ხოლო კუალად არიან სხუანი ბუნებით სადაგნი და
 მარტივნი: და გონებით წრფელნი სიმართლესა ცხოვრებისას
 და უღელსა უმანკობისასა მზიდველნი: და მხოლოდ ღუთის
 ოდენ და მკლავისა თჳსსა მოსაგნი: რომელითაცა უკუც გამო-
 ისახვის და საცნაურ იქმნების სიტყველვე ჭაბუკისაჲ: ვითარც
 აჰა ესე რაჲ არიან ნათესავნი ჩუქნ ქართველთანი: რამეთუ
 ვითარცა საცნაურ არს ყოველთა მიერ: უეჭულად ეს
 ვითარი ბუნებაჲ პირუტლითგანვე რაჲჲმს იგი შჯულისა გარე-
 ვნობდეს, მიერითგანვე უკუც დამცუტლობს ნათესავთა შო

რის ქართულთადაც: რამეთუ არა რაჲ უკუპ ოდეს ჰქონებია ჩუსულებაჲ ფილასოფოსობისა და სწავლულებისაჲ გამოძიებათა და ენამჭევრობათა: ხოლო სხუანი უკუპ ნათესავნი სხუთაჲ: რაჲთამე მიმართ ღონისძიებათა და კელოვნებათა მინდობილობენ:

და სხუანი სხუთა: რომელნიმე მათ და რომელნიმე ამათ და ყოველთავე უკუპ თვს თვსად შეუცავს საზღუარი ტომებისა თვისისაჲ ლე უკეთუმცა არა ვიდრემე საჭირო გუტქმებოდა მიზეზი მეტყუალებათაჲ განგრძობისაჲ: თითოეულადმცა უკუპ წარმოვაჩინე შემსგავსებულებათაჲ ნათესავი ტომებისაჲ თითოეულისაჲ: რამეთუ არა საჭირო ვიდრემე იყო ჩუპნდა ესე წყალობითა ღუთისაჲთა: ხოლო აწ შეუდგინო ცხად მყოფელად სახესა: საქმეცა მიზეზ მყოფელი განგრძობისაჲ ჩუპნისაჲ: რამეთუ მიზეზი მეტყუალებისაჲ ჩემისაჲ ესე ვიდრემე არს: რამეთუ ვითარცა ეგერა პირუტყვს ვსთქუ ზემორე: ჩუსულებაჲ ვიდრემე და წურთილებაჲ გამომეტყუალებისაჲ: და გამოძიება სამეცნიეროთა და საფილოსოფოსოთაჲ საქმეთაჲ: არა რაჲ უკუპ ჰქონებია ნათესავთა ქართულთასა: ვითარცა ბერძენთა შორის დღესაცა იხილვების ესე ვითარი საქმე რამეთუ რაჲცა რაჲმე უცხოჲ და საკრულსი საქმე საცნაურ იქმნეს: მყის მასვე ჟამსა შინა მეყსეულად აღწერენ: და ესრეთ სიმტკიცედ და საკსენებლად მომამავალთა ნათესავთა თვს ძეგლად წარუწყმედელად დაუტეობენ; ხოლო უკეთუ საღმრთოთაჲ მოქმედებათა თვს გინა თუ ხატთაგან იქმნეს რაჲ ანუ თუ ჯუარისა; გინა თუ ნაწილთაგან: წმიდათაჲსა: ანუ თუ სხეულსავე შორის მყოფთა წმიდათა კაცთაგან; რადღა უკუპ საკმარ არს სათქმელად: თუ ვითარ კინოდენსაცა არა რას დაუტეობენ აღუწერელად და არცა ვიდრემე მისცემენ უფსკრულსა დავიწყებისას: ხოლო ვითარცა მრავალგზის ვთქუ ესე ვითარისა მოქმედებისაგან: ყოვლად უცხონი და უმეცარნი არიან ნათესავნი ესე ქართულთანი: უკეთუ არა ვითარცა ვინ აღრიცხუნა თუ არაოდენნი უკუპ და რაბანნი

სასწაულნი ქმნილ არიან სუტისა ცხოველისაგან ჟამსა მას პირუტყვს გამოჩენისა მისისასა და შემდგომითი შემდგომად: ესე უკუპ უწყოდეთ ქეშმარიტი: უკეთუმცა ვის აღწერნეს ვითარცა არს ჩუსულებაჲ ბერძენთა ნათესავისაჲ: არამცა უკუპ დაიტია სოფელმან ყოველმან აღწერილი წიგნები სიტყუსაებრ წმიდისაჲ სახარებისა: და ესელა რომელ თვთ ჟამსა მას პირუტყვს სუტისა მის ცხოველისა გამოჩენისასა: რაჲმე აღურიცხუტლნი იგი სასწაულნი იქმნებოდეს: ყოვლადყოფილთურთ უღონოვბდა: ესე ქუტყანა ესე ვითართა საქმეთა გამოცდილებისა და მეცნიერებისაგან: და ვითარცა ყოვლადველურნი რაჲმე და მკეცი და ქსუდ მავალნი ღმობიერებითისა ცხორებისაგან:

ხოლო ვითარცა ზემო პირველვე აღწერთ რაჲმე იგი სუსტისა ცხოველისა დიდებულებანი საცნაურ იქმნებოდეს მაშინ უკუპ ვინაჲთგან ფრიადთა მათ სასწაულთა მოქმედები სა თვს ყოველნივე იძულებულნი სენთაგან თითო სახეთ სასოებით ურიდად შეეხებოდეს წმინდასა შეურაცხებაჲ ჰგონა მირიან მეფემან: ამისთვისცა უკუპ შეშისა ფიცართ მიერ დაფარა შიშულოვებაჲ იგი სუტისა მის: ლე თუალთაგან სახილველობაჲ მისი უჩინო ჰყო: ხოლო რომელნიცა უკუპ უძღურებისგან კორცთა დაქსნილობისა ვერ მოვიდოდნ მათ თვს უკუპ ფიცართა მათ მახვლთა შეახებდინ და ესრე წარიპარვიდიან იღუმალ და სასოებით იღუმალ წარპარული მით: ცხადად ვიდრემე ნათესოსა კადნიერებისასა მოივაჭრე დიან: ზოი: კეთილსა მას უკუპ და საღმრთოსა სასოები ავაზაკობასა: ხოლო უკუპ შემდგომად მრავლისა ჟამი მეფე იქმნა რაჲ რვე ძე მირიან მეფისა: შეშინდა უკუპ მეფე მასა მისსა: ნუ უკუპ სრულიად განშიშვლდეს სუტისა წმიდაჲ სამარადისოსგან ფიცართა მათ და დათლისა წაპარვისა: და ამის მიზეზისათვს განიზრახა რათა სრული ქვთკირითა აღმოქმნას გარემო სუტისა მის: რომელი უკუპ ესე საქმით შეუდგინა განზრახვასა და სრულ ჰყო.

ესრეთ ვიდრემე ჰგის მოდღენდელად დღედმდე: რამეთუ ურიცხუნი და უფროხსნიდა სასწაულნი მაშინცა იქმნეს რაჟამს იგი მოსდეს გუამსა მას სუტისა ცხოველისასა და შემდგომითი შემდგომად არა ოდეს მოკლებულ არიან სასწაულნი და დიდებულებანი სუტისა ცხოველისანი: სამარადისონი უკეთუმცა რაჟ ვის ყოვლად ჰქონებოდა გულის კმის ყოფა მგონებლობით აღწერაჲ უმჯობესისათვის სათანადოთა მრჩობლ ორკერძოთავე საცხორებელთა პირველ სხეულობითა: შემდგომობისათვის ჟამისა სახარულევანად სულთა სასუფეველის ტრფიალთა: რათა შემდგომნი ნათესავნი წარკითხვითა მათითა ნათელ მყოფელსა სულისასა ნუგეშინისცემასა მოირეწოდენ: ვითარცა უკუპ არს სახე და ჩუტულებაჲ ბერძენთა ნათესავისაჲ: რამეთუ იგინი ესე ვითარცა კნინოდენტაცა არა თანა ვიდრემე წარმკდელნი რაჟსავე სასწაულთაგანისაჲ ახარებენ გულთა და ანაყოფებენ სულთა ყოვლით კერძოვე მიმდემად მოსთულებითა სათანადოთა უსაჭიროეს უკუპ და სათანადო ვიდრემე ვჰგონ ჰოი საყუარელნი: საცნაურ ყოფისათვის სადა მდებარეობასა კუართისათვის ცხოველისა მის ღუთაებისა გარე შემკუპლისა: რომელი ესე უკუპ მრავლით კერძო, გუსწავების და საცნაურ არს: რამეთუ ჯეროვან და ჭეშმარიტ ესრეთ არს: რათა სადაცა საღმრთოჲ საუნჯე მდებარეობდეს: მუნცაჲ ზედა მიმდემად საღმრთო: ნათელი დაუვსებელად მნათებიარობდეს და ცეცხლისა სუტისი ელვის სახედ სამარადისოდ ზედა ეგზებოდეს: ურწმუნოთა ვიდრემე გულებსა შემწველად: ხოლო მორწმუნეთა ნათელ მყოფე: ლად ამას თანა უკუპ გუაქუს სხუაჲცა სასწაული საცნაურ მყოფელად გამოამაცხადებელ სუტისა ცხოველისა უეჭუპლად ქუპშემდებარეობისა თვის: რამეთუ ნესტვი იგი რომელი ჩრდილოეთით ყოველთა მიერ სახილუპლ არს: მრავალ გზის უკუპ ცდილან უმეცრებით და ყოფისა მის ნესტვასა კირითა გინა ცარკით რომელი უკუპ მასვე ჟამსა აღმოხეთქის რაჟამს ვინ კელ ყვის დაყოფად რამეთუ ესე საქმე უეჭუპ-

ლსა და ცხადსა მუნ მდგომარეობასა მოასწავებს: უკეთუ არა სხუა რაჟმცა იყო მიზეზი ნესტვასა მის დაყოფისა არ თავსმდებელი.

ხოლო უკეთუ სუტისა თვის საეჭუპლ ვჰგონოთ: მაშა სუტისი იგი ზე ჰაერთა დამოკიდებულობს ვითარცა ყოველთა უწყით: ხოლო ესე სასწაული კუართისა მის საუფლოსაჲ არს უეჭუპლი და უცთომელი: ხოლო ესეცა უკუპ ვიდრემე სათანადო არს: რამეთუ უკეთუ ვინმე მკლებიერობდეს სასწაულთა თვის კუართისა საღმრთოჲსათა: ესრეთ უკუპ უწყოდენ ესე ვითარისა მეძიებელმან: რამეთუ ვითარცა მამაჲ და ძე ერთ არიან დიდებითა და ყოველივე მოქმედებაჲ მამისაჲ ძისაჲცა და ყოველივე მოქმედებაჲ მამისაჲ ძისაჲცა არს: და ყოველივე მოქმედებაჲ ძისაჲ მამისაჲცა არს: ესრე სახედვე უკუპ სუტისა ცხოველისა: უეჭუპლად კუართისა საუფლოჲსად შეჰრაცხეთ და კუართისაჲ ვიდრემე სუტისა ცხოველისად და ვითარცა იგი მამაჲ და ძე ერთ არიან განუყოფელად ღუთაებითა: ეგრეთვე უკუპ სუტისა ცხოველისაჲ და კუართისა საუფლოჲსა დიდებულებანი და საკვრუპლებანი განუყოფელ და ერთ არიან:

და თვთ მებრ კუართი წმიდაჲ საუფლოჲ საჩინოდ არავე ყოფილ არს: ესეცა არს მიზეზ: ნუ უკუპ და ამასაც ვინმე მეტყუპლებდეს: თუ აწ ვითარ არღარა იქმნებიან სასწაულნიო: გონიერად უკუპ ისმინეთ და განკრძალულად გულისკმა ჰყავთ ესე ვითარისა მეძიებელთა: წერილ არს უკუპ სასწაულნი ურწმუნოთა არიან და არა მორწმუნეთა თვისო:

და ნუცალა უკუპ ვიდრემე აქამომდის დადგების სიტყუაჲ ჩუპნი არამედ თვთ მებრ აწცა ჭეშმარიტად მრავალნი და ურიცხვნი სასწაულნი და ფრიალნი საკვრუპლებანი ქმნილ არიან და იქმნებიან ჟამთა ამათცა შემდგომთა ჩუპნისა ნათესავისა ზე: რამეთუ არა თუ საკვრუპლებათა ღუთისათა ოდესმე მოაკლდების გინათუ დასცხრებიან: გარნა სასოებათა ჩუპნთა ნაკლულევანებაჲ და შემცირებაჲ და უყოფს მდინა-